№ 18 24 იანვარი, ოთხშაბათი 1866—1879 24 იანვარი, ოთხშაბათი № 18

რედაქცია: სოლოლაკზე, ბარის ქუჩაზე, გ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба".

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—5 მან., სამის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

# დროება

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა: [illegible]-ებით ახოზე—1 კაპ., [illegible] სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

## ამ 1879 წელს გაზეთი „დროება"

გამოვა მუდამ დღე და იმავე მიმართულებითა და პროგრამმით, როგორც აქამდინ გამოდიოდა.

### ხელის-მოწერა

თფილისში მიიღება რედაქციაში, ბარის ქუჩაზე გ. შადინოვის სახლებში, № 33.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა გაზეთი ამ ადრესსით უნდა დაიბარონ: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба"*.

### გაზეთის ფასი

მთელის წლისა — — 8 მან.
ექვსის თვისა — — — 5 მან.
სამის თვისა — — — 3 „
ერთის თვისა — — — 1 „

მხოლოთ ამ ვადებით შეიძლება გაზეთის დაბარება.

ფული გაზეთის დაბარებისა-თანავე უნდა იქმნეს რედაქციაში წარმოდგენილი.

### რედაქციისაგან

ზოგიერთი ჩვენი ხელის-მომწერლები, წინა წლების მიხედვით, წელსაც ნახევარი წლის ფულს 4 მანეთს და 4 მანეთსა და ათ შაურს იგზავნებიან და არა ხუთ მანეთს, როგორც რამდენჯერმე იყო გამოცხადებული და ახლაც ვაცხადებთ ხოლმე გაზეთში.

საჭიროდ ვრაცხთ ვაცნობოთ ამ გვარ ხელის-მომწერლებს, რომ ვისაც 4 მანეთი აქვს რედაქციაში შემოტანილი, იმათ მხოლოთ ამ წლის 1 ივნისამდინ მიუვათ გაზეთი და ვისაც 4 მან. და 50 კაპ., იმათ კი ივლისის 15 რიცხვამდინ, თუ დანაკლისს ფულს არ შემოიტანენ.

## ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

**პეტერბურღი, 20 იანვარს.** მოსკოვის მახლობლად, სოფ. ვისოცკში, ერთი კაცი მოკვდა ჭამით. იქაური მღვდელი ამბობს, რომ მე ვაზიარე ეს კაციო, რომელიც წინა დღეს იყო ვეტლიანკიდამ მოსულიო.

**პეტერბურღი, 20 იანვარს.** მინისტრების კომიტეტმა გადაწყვიტა, რომ სტანიცა ვეტლიანკა, საცა ჭირი გაჩნდა პირველად, სრულიად ამოსწვან; მცხოვრებლები სხვა ალაგას უნდა გადაასახლონ; დამწვარი ნივთეულობისა და ტანთსაცმელის მაგიერ ხაზინა ახალს მისცემს. ამას გარდა კარანტინისათვის ცალკე ჯარია დანიშნული, რომლის უფროსად, ამბობენ, გრაფი ლორის-მელიქოვი ინიშნებაო.

**სტამბოლი, 19 იანვარს.** ქასსიმ-ფაშა ზღვის მინისტრად დაინიშნა, ალი-საიდ-ფაშა დანიშნულია ოსმალეთის არტილერიის უფროსად.

**პეტერბურღი, 20 იანვარს.** ამბობენ, რომ იმ კომისიას, რომელსაც სახელმწიფო გასავლის შემცირება აქვს მინდობილი, სხვა-თა შორის განზრახვა აქვს, რომ გააუქმოს დეპარტამენტების ვიცე-დირექტორობის ადგილი.

მოსკოვის ღუბერნატორს მოუვიდა სოფ. ვისოცკიდამ ამბავი, რომ ამ სოფელში სახადი არის გავრცელებული და არა ჭირიო. რამდენიმე გამხდარა ავათ.

**კეტარენი, 14 იანვარს.** ინგლისის ჯარსა და ზულუს ტომის ხალხს შუა დიდი შეტაკებები მოხდა.

**პარიჟი, 21 იანვარს.** რადგან დიუფორი არ დათანხმდა, რომ სამინისტროს თავსმჯდომარედ დარჩენილიყო, ამის რესპუბლიკის პრეზიდენტმა გრევიმ ახალი სამინისტროს შედგენა ახლანდელ უცხო ქვეყნის საქმეთა მინისტრს ვადინგტონს მიანდო.

**პეტერბურღი, 22 იანვარს.** დღეს მიდის აქედამ გერცოგი მეკლენბურ-შვერინისა.

## ფელტონი

### ახალი ქვეყნის ამბები

ცხადში და სიზმარში ნანახი

(დასასრული)

საზოგადოთ აქაურობა მთ-ანი ადგილია, სახნავ-სათესის ადგილი სულ ცოტაა; როგორც წელან მოგახსენეთ, მიაქვთ სხვა ქალაქებში ხილი და სცვლიან პურზე. თავისუფალი დრო ძრიელ ბევრი აქვთ, მაგრამ კიდევ ისინი იმ ცუდაობას ავ საქმეზე არ ატარებენ. ქურდობა ამათში არ იციან. მშვიდნი ხალხნი არიან, მაგრამ მაინც ფანატიკობა ძვალში გამჯდარი აქვთ. დღეში ხუთჯერ ლოცვა უფრო მეტს დროს ართმევს, ვიდრე საზრდოსთვის ზრუნვა.

ახლა გადავიდეთ აქაურ პედაგოგიურ ასპარეზზე.

ართვინში სიარულის დროს, რაღაც ყაყანმა მიიქცია ჩემი ყურადღება. ვიკითხე: ეს რა ხმაურობაა?—მედრესეა გახლავს, მითხრეს. შეველი ამ მედრესეში.

ოჰ, რა საცოდაობის სურათს წარმოადგენდა ამათი გამმანათლებელი სადგომი—მედრესე!!. პატარა, მდაბალ ფიცრის ოთახში, ორი გრძელი შეუღებავი ფიცრების გარეშემო უ[illegible]ხდნენ თეთრი ჩალმიანი პაწაწა თათრები; იმათი ცეცხლით ანთობილი თვალები და ცოცხალი შეხედულება ყველას ყურადღებას მიიზიდავს და დაარწმუნებს, რომ ამათში იმარხება თითო ნიჭი.

ეს ყმაწვილები რაც ძალა და ღონე ჰქონდათ ჰყვიროდნენ და იმეორებდნენ ყორანის სიტყვებს იმათთვის გაუგებარს. ვინც მაღლა დაიყვირებს, ის ბეჯით შეგირდათ დაითვლება. ქარებთან მდაბალ ტახტზედ ფეხ მოკეცილი იჯდა ახალგაზდა მოლლა—მასწავლებელი. ხელში ეჭირა გრძელი ჯოხი და ძალას ატანდა, რომ ყმაწვილებს ეყვირათ.

თათრებს სახალხო შკოლებისათვის არავითარი სახელმძღვანელო წიგნი არა აქვთ. ყმაწვილი შკოლაში შესვლისავე ჯერ პირველ წელიწადს სწავლობს—ალიფ, ბა, თა; მერმე აძლევენ ხელთნაწერს ყორანის შემოკლებულ ნაწილს. ყმაწვილი კითხულობს, ზეპირობს, მაგრამ არ იცის და არ ესმის რას კითხულობს, ისიც არ იცის—ის ასოები, რომ ისწავლა, რის მაქნისია.

ამ ნაირად წავლობს ორ-სამ წელიწადს. იქთონს სწავლობს, რომ თავის და დაბეჭდილის წაკითხვა შეეძლება, და გამოდის კიდეც სასწავლებლიდგანა თავ-შეხვეულ მოლლათა.

თუ უნდა უმაღლესი სწავლა მიიღოს, მაშინ მიდის ყადთან, ყადი ზეპირად და ახსნით ასწავლის ყორანს, და ამით თავდება ამათი სწავლა.

ართვინში სომხებს ორი სასწავლებელი აქვსთ. სასწავლებლების სადგომები, შიგ განწყობილება ურიგო არ არის; მაგრამ ამათი მეტოდაც ბევრად მაღლა არ დგას თათრებისაზე. ამათშიაც ახალი სახელმძღვანელო არა ჰქონიათ. დაწყებითი სწავლა იწყება რაღაც ქერაკანით—ანბანით, შედგენილით, ვგონებ, იესო ქრისტეს მოსვლის წინათ. რად-

## პეტერბურღის ბირჟა, 23 იანვარს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოხი)

| | |
|---|---|
| ბანკის ბილეთები: | მან. კაპ |
| პირველი გამოცემის — — | 95—50 |
| მეორე— — — — — — | 94—75 |
| მესამესი — — — — | 94—75 |
| მეოთხესი — — — — | 94 - 87 |
| აღმოსავლეთის პირ. — | 92—25 |
| აღმოსავლეთის მეორე — | 92— „ |
| ოქრო, 1/2 იმპერიალი — | 8—67 |
| თფილ. თავად-აზნ. ბანკის | |
| გირაოს ფურცელი— — | „— „ |
| შინაგანი 5% სესხის ბილეთები | |
| | მან. კაპ. |
| პირველი სესხის — — | 230— „ |
| მეორე სესხის — — — | 231— „ |
| 1 მანეთი ღირს: | |
| ლონდონი — — | 22—75 პენსი |
| ამსტერდამი— — | 115—20 ცენტი |
| ბერლინი— — — | 196—25 პფენიგი |
| პარიჟი — — — | 242—50 სანტიმი |
| კავკასიის კერასინი— | 2—10 — |

## ჟულ გრევი

ბუშინდელმა ტელეგრამმამ მოგვიტანა ამბავი, რომ გასულ ხუთშაბათს საფრანგეთის ნაციონალურ კრებისა და სენატის შეერთებულ კრებას (კონგრესს), მარშალის მაკ მაჰონის მაგიერად, საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტად ამოურჩევია ნაციონალური კრების თავსმჯდომარეედ ჟულ გრევი.

დიდი ყურადღების ღირსია ეს ამბავი; ყურადღების ღირსია არა თუ მარტო საფრანგეთის ხალხისათვის, არამედ მთელი ქვეყნისათვის, ყველასთვის, ვისაც ესმის ის ჭეშმარიტება, რომ ერთის ხალხის ბედსა და უბედობას ყოველთვის სხვა ხალხების ბედზე და უბედობაზედ აქვს შესამჩნევი გავლენა.

და გრევის პრეზიდენტად ამორჩევას რომ საფრანგეთის ბედზე მართლა შესამჩნევი გავლენა ექნება, ამაში ეჭვი არავის არ უნდა ჰქონდეს.

რა მდგომარეობაში იყო დღემდინ საფრანგეთი? მუდამ შიშში, მუდამ დაიდარაბაში, მუდამ შინაგან ბრძოლაში, ურთიერთშორის განხეთქილებაში.

დიდი რევოლიუციის შემდეგ, მას შემდეგ, რაკი საფრანგეთის ხალხმა თავისუფლებისა და თვით-მმართველობის გემო იგემა, ეს ხალხი მუდამ რესპუბლიკურ მმართებლობის დამკვიდრებას ცდილობდა, მუდამ ცდილობდა, რომ ერთის კაცის უფლების მაგივრად, ჰყოფილიყო უფლება მთელის ხალხისა, იმის წარმომადგენლებისა, რომ თვითონ ხალხი ყოფილიყო თავის ბედ-იღბლის გამგებელი. გაიხსენეთ 1830 წლის იულისის რევოლიუცია, გაიხსენეთ 1848 წლის თებერვლის რევოლიუცია, 1870 წელიწადი. გაიხსენეთ—რამდენმა ჩინებულმა დიდებულ საფრანგეთის შვილმა, რამდენმა ნიჭიერ მწერალმა და მოქალაქემ შესწირა თავი ამ ჰაზრის სისრულეში მოყვანისათვის.

მაგრამ ხალხის საზოგადო სურვილს წინ უდგა მცირე ნაწილი, გუნდ-გუნდათ მოგროვილი პირები, კერძო სარგებლობა, თავ-მოყვარეობა, პატივ-მოყვარეობა და უფლების შეძენის სურვილი. ნაპოლეონის, ორლეანის, ბურბონის მომხრენი, მართალია, ყველა ერთმანეთის მტერი იყვნენ, თითოეული ამათგანი სცდილობდა, რომ მეორესთვის გამოეგლიჯა უფლება ხელიდამ, მაგრამ ამასთანავე ყველანი ერთად დაუძინებელი მტერი იყვნენ საფრანგეთში რესპუბლიკური მმართებლობის დაარსებისა.

ამათ გაიძვერობის წყალობით უმეცარი და პოლიტიკურ საქმეებში გამოუცდელი ხალხი ხშირად სტყუვდებოდა და ამათ მიანდობდა თავის ბედს.

მაგრამ ახლა წავიდა ის დრო. თვით სოფლის ხალხმაც საფრანგეთისამ კი დაინახა ახლა, რომ მმართველობისაგან (რა გვარიც უნდა იყვეს ის) საზოგადო სიკეთესა და ხალხის ბედნიერებაზე ზრუნვას არ უნდა მოელოდეს. ეს აზრი განსაკუთრებით ნათლად გამოიხატა და თვალ-საჩინო შეიქნა 1870 წელს, როდესაც იმპერატორმა ნაპოლეონ მესამემ, მხოლოთ თავის გვარის გამოსაჩენად და თავის შთამომავლობის საფრანგეთის ტახტზე გასამაგრებლად, გამოუცხადა ომი პრუსიას, ომი, რომლიდამაც საფრანგეთი დაჩაგრული და დამცირებული გამოვიდა.

ამ დღის შემდეგ თვით უმეცრებმაც კი აშკარად დაინახეს მონარხის უვარგისობა საფრანგეთში და რესპუბლიკის აუცილებლობა.

მაგრამ ამ აზრის ხალხში გავრცელებას, თვით მონარხიელების უხეირობისა და ბოროტი მოქმედების გარდა, ეხმარებოდნენ აგრეთვე რესპუბლიკელების პატიოსნება, იმათი უანგარო სამსახური და ქადაგება. ამ მხრით უპირატესი ადგილი, უეჭველია, ეკუთვნის გამბეტტას, რომელმანც თავის მახვილი გონება, თავის მჭერმეტყველური ენა, ჭკუა, ოსტატობა —ყოველ-ფერი მოიხმარა ამ უკანასკნელი ცხრა წლის განმავალობაში ამაზედ, რომ ხალხისათვის დაენახვებინა რესპუბლიკის უპირატესობა მონარხიაზედ.

ამათ მიაღწიეს თავიანთ საწადელს. შეუცდომელად შეიძლება სთქვას კაცმა, რომ საფრანგეთის ხალხის ოთხი მეხუთედი ახლა რესპუბლიკის მომხრეებისაგან შესდგება. ამას გვიმტკიცებს ის გარემოება, რომ ყოველ ახალ ამორჩევების დროს ხალხი მუდამ რესპუბლიკელებს ირჩევს თავის წარმომადგენლად ნაციონალურ კრებაში და სენატში.

ამასვე გვიმტკიცებს ისიც, რომ გრევი ამოარჩია ახლა ნაციონალურ კრებამ და სენატმა თავის ქვეყნის პირველ

---

გან ამ ქერაკანის სუსხი მეც მიჭამია, ამისთვის ამას მე კარგათ ვიცნობ. ჯერ იწყობა აიბ, ბენით, მემრე იგივე ასოები სწერია სამ-სამი ასო ერთად; ეს ასოები ყმაწვილმა უნდა გამოსთქვას საჩქაროდ და მაშინ გამოდის რაღაც ჩინური სახელები...

აქაებს რომ გაათავებს ყმაწვილი, მისცემენ ხელში ჯერ ფსალმუნებს, მემრე სახარებას და ძველ აღთქმას. არის ერთი სახელმძღვანელო—„მანკაკან-ვარჟუთიუნ,“ რომელიც სავსეა ანეგდოტებით და სხვა-და-სხვა ფილოსოფოსების ნათქვამი შესანიშნავი სიტყვებით. ანგარიშს, ხატვას და სხვა გონების გასახსნელს საგნებს ამათ შკოლებში ადგილი არა აქვთ. ასწავლიან საქრისტიანო მოძღვრებასაც.

ერთს სასწავლებელში 172 შაგირდია და ერთი მასწავლებელი—დიაკვანი თავისი განუშორებელი ჯოხითა.

ეს შკოლები არსებობენ ეკლესიის და მოლაც ძმობის ფულითა.

მასწავლებელი იღებს თვეში ათ მან. რასაკვირველია, ისიც ათი მანეთისას ასწავლის! სასწავლებელში ყოფნის დროს შაგირდები ქუდებს, ფეხებს არ იხდიან და როცა ისინი სხედან სკამებზე, სწორედ წარმოადგენენ ყაყაჩოთი სავსე ყანასა.

მეორე სასწავლებელში იქმნებიან ოთხმოც შაგირდამდისინ.

ამ სასწავლებლის გარდა ქალების შკოლაც არის. სწავლის მეტოდა ერთი და იგივეა მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აქ სკამეიკების მაგივრად არის გრძელი უბრალო ფიცრები, რომლების გარემემო კრავებივით სხედან დაჩოქვით წითელ ფესებიან პაწაწა ქალები და ერთი მასწავლებელის მაგივრად დადიან მებატებივით ჯოხები ხელში სამი-ოთხი ქალი—მონაზონები. ჭრა-კერვას არ ასწავლიან—მარტო კითხვას და იშვიათად წერას.

სანამ ვართაპეტს არა ვსთხოვე, ქალების შკოლაში შესვლის ნება არ მომცეს. ვართაპეტმა დამატარა შკოლა და ბევრ ხანს მემუსაიფა. ჩასუქებული სახე და დიდი მუცელი ამტკიცებდნენ, რომ ამ სულიერ მამას თავისი პატივისცემა არ დაუკლია.

— ჩვენი ხალხი წახდებაო, მითხრა ვართაპეტმა; ართვინელები იყვნენ შრომის მოყვარენი, მაგრამ ახლა გაირყვნებიანო.

— რათა? ვკითხე.

— იმიტომ, რომ უწინ თათარის დროს ეს მიკიტანხანები და უნამუსო სახლები არ იყო. ახლა რომელი ახალგაზდაც ერთ-ორ კაპეიკს იშოვნის, იქ მირბის. ამ ნაირი გარყვნილობით, აგე, ის მაგარი ძველი ციხე დაიქცევაო! ისე დარწმუნებით წარმოსთქვა და მიჩვენა ძველი ციხე, გეგონება სადმე ქითაბში ამოუკითხნიაო.

აქ ახლავე რომ დაარსდეს სამაზრო სასწავლებელი, ურიგო არ იქმნება. ართვინელებს ძალიან სურვილი აქვთ, რომ გაიღოს იმისთანა სასწავლებელი, სადაც ასწავლიდნენ სხვათა შორის რუსულ ენასაც. მაგრამ ისე, რომ იმათი ერთი ფარაც არ დაიხარჯოს (მთავრობის იმე-

პირად, რესპუბლიკის პრეზიდენტად.

ამ ამორჩევას დიდი მნიშვნელობა აქვს. დღეის შემდეგ საფრანგეთში მკვიდრად, შეურყეველს საფუძველზე დამყარდება რესპუბლიკური მმართებლობა; დღეის შემდეგ მოისპობა მონარხიელების გაიძვერობა, იმათი მეცადინეობა მონარხიის აღდგენისათვის; დღეის შემდეგ საფრანგეთის რესპუბლიკა რესპუბლიკელებისვე ხელში იქნება, რესპუბლიკის ბედს რესპუბლიკელებივე განაგებენ.

და, ამას მიაღწევს საფრანგეთი მხოლოთ იმით, რომ იმან თავის პირველ კაცად ამოირჩია ისეთი კაცი, როგორიც არის ჟულ გრევი.

თვითონ ჟულ გრევიზედ შემდეგ ნომერში მოვილაპარაკოთ.

ს. მ.

(გაგრძელება)

---

# საქართველო

## დღიური

*** ჩვენ მოგვივიდა ამბავი, რომ სოფ. ერწოში (თიონეთის მაზრაში) აღმოჩენილა რაღაც ნაირი მიწის საპონი, რომელიც, როგორც ამბობენ, ჩვენებურ საპონთან ბევრით არ განსხვავდებაო.

*** ჩვენ შევიტყევთ, რომ თფილისის სასულიერო სემინარიაში რაღაც უწესოება მომხდარა და ამის გამო სემინარიის ინსპექტორს უფ. კუშინსკის გაუჩხრეკია ყველა შაგირდების ყუთები თუ სკივრები და ზოგისთვის წერილები ამოუკლია, ზოგისთვის ქართული წიგნები და სხვა ამნაირი უბრალო რამეები...

სემინარიაში არის თურმე ერთი ზედამხედველი შაგირდებისა (ნადზირატელი), რომელიც ისე უყურებს და ისე ეპყრობა თავის შაგირდებს, როგორც პირუტყვებს, უზრდელად, შურის-ძიებით და სხვ. ამბობენ, რომ ნადზირატელის წყალობით სემინარიის შაგირდები პარტიებათ არიან დაყოფილნი და ერთი პარტია მეორეზე გადამტერებულიაო...

ნეტავი ჩვენ, რა პედაგოგები გვყავან!..

*** ქიზიყის ერთი სოფლიდამ, სახელდობრ ანაგიდამ, გვწერენ, რომ ერთი სიღნაღელი ვაჭარი თ. ტ.—ტ.—ვი ჩამოგვესახლა ჩვენაო და მთელს სოფელს იმისაგან სიცოცხლე გაჭირებული გვაქვსო. მამასახლისი ხელში ჰყავს ჩაგდებული, რასაც უბრძანებს, უნდა აასრულოსო და იმის ბრძანებით ხშირად ხან ერთს გლეხს დაარბევს ეს მამასახლისი, ხან მეორესაო.

განსაკუთრებით ბევრი საძაგლობა ჩაიდინა თურმე ამ ვაჭარმა იმ დროს, როდესაც სიღნაღის არეულობის თაობაზე გლეხებს იჭერდნენ. ამის ჩვენებით მამასახლისმა რამოდენიმე სრულებით უმანკო გლეხი დაიჭირა, რომლების ჯავრი ჰქონდა. ესენი რამდონიმე თვეს ტყუილ-უბრალოთ იყვნენ სიღნაღის სატუსაღოში დამწყვდეული და მხოლოთ გამოძიების დროს იცნეს იმათი სიმართლე და გაანთავისუფლეს.

*** ჩვენ მივიღეთ სოფ. პატარძეულიდამ შემდეგი შენიშნვა:

„სოფლის სასამართლოების შემოღება, რაღა თქმა უნდა, დიდად სასარგებლო და კეთილი რეფორმა იყო ჩვენის მხრისათვის. მაგრამ, სამწუხაროთ, ამ კეთილ საქმესაც თავის ცუდი მხარე მოსდევს.

„მრავალმა მამასახლისებმა და სოფლის მოსამართლეებმა (სუდიებმა) ჩვენში წერა-კითხვა არ იციან და ამის გამო ისინი ჩავარდნილი არიან სოფლის მწერლების ხელში. ამათ არ წაუკითხავთ, რასაკვირველია, და არც იციან სრულიად ის „სასოფლო წესდებულება“, რომელიც განსაზღვრავს იმათ უფლებასა და მოვალეობას. აქედამ წარმოსდგება ის სამწუხარო მოვლენა, რომ ერთსა და იმავე საქმეს ორჯერ, სამჯერ და ხშირად ხუთჯერაც განარჩევენ და წინაღმდეგ ერთი მეორისა გადასწყვეტენ.

„მართალია, ხალხის გასანათლებლად შკოლებია ჩვენში ალაგ-ალაგ გამართული; მაგრამ სანამ ამ შკოლებიდამ წერა-კითხვას მცოდნე და წაკითხულის გამგონე გლეხები გამოვიდოდნენ და გაუჩინდებოდნენ ჩვენს ხალხს, მანამ ბევრი დრო გაივლის, და მანამ ამგვარს მდგომარეობაში მიტოვება ჩვენი სოფლის თვით-მმართველობის საქმისა არ ივარგებს.

„ჩემი ჰაზრი ეს არის, რომ ამ შემთხვევაში ჩვენს სოფლის სასამართლოს დიდ დახმარებას აღმოუჩენს ერთი დახელოვნებული ჩინოვნიკი, რომელიც მთავრობისაგან იყოს დანიშნული ხსენებული „წესდების“ ასახსნელად, და ეს „წესდება“ ყველა სოფელში რიგიანად იყოს შესრულებული.

„თითო უეზდისათვის რომ თითო ამისთანა კეთილ-სინიდისიანი ჩინოვნიკი— ზედამხედველი დაინიშნოს, უცოდინარ სუდია-მამასახლისებსაც მოეხმარება და ხალხსაც დიდ შემწეობას მისცემს.“

ი. ფ—რი

---

## „დროების“ კორრესპონდენცია

**ბათუმი, 15 იანვარს.** ბევრი ლოდინის შემდგომ, როგორც იყო ველირსეთ ღენერალ კამაროვის მოსვლას. იმის მოსვლის დღეს ცუდი ამინდი დადგა, თორემ ხალხი შესაგებებლათ დახვედრას უპირებდა, რადგანაც თითქმის ყველას დაგვეტყო იმისი აქ უყოფნელობა; მეორეც იმიტომ რომ მოველოდით ხელმწიფე იმპერატორისაგან მოწყალებას მოგვიტანდა ჩვენი ობლათ და ღარიბათ ნაშობი ბათუმისათვის. ჯერ თუმცა ნამ-

---

დი აქვთ). კატას თევზი უყვარს, მაგრამ წყალში დასველება ეჯავრებაო, სწორედ ამათზეა ნათქვამი.

დაინახეთ, რა მშვენიერი სასწავლებელი ჰქონიათ აქაურებს? აქაურ სამღვდელოებს ჰხედამთ, რა ზრუნვა ჰქონიათ? ისიც იქონიეთ სახეში, რომ ეპისკოპოზიც ყოფილა აქა და ახლაც იქმნება, ვგონებ.

მაგრამ რას უნდა მოველოდეთ იმათგან, როცა თვითონ სამღვდელოები ამბობენ: ბევრი სწავლა გარყვნისო, და ბევრი სწავლითა ღვთის სიყვარულზე გული გაუცრუვდებაო კაცს. ისიამოვნეთ!!

ჩემს ართვინში ყოფნაში უეცრად ყველაფერი გაძვირდა. ის საგანი, რომელსაც გუშინ აბაზათ ვყიდულობდით, დღეს ორ აბაზათ გვიფასებდნენ და ზედაც აყოლებდნენ: ახლა გამარუგია (ბაჟი). ამ ნაირ ცვლილებაზე გაოცებით ვუყურებდით და ამით გაჯავრებულმა რამდონიმე ახალციხელმა და ქართლელმა ახალგაზდებმა ვიყიდეთ ერთი დიდი საღვინითი ღვინო (რადგან უბაჟო იყო) თავისი შესაფერი სამკაულობით და ჩაველით ართვინის ძველ ციხეში ნაღველის გასაქარვებლათ. ართვინის ციხე ეკუთვნის ძველ დროებას; მაგრამ ისე დაძველებული არ არის და ნაშენიც ჰგავს ძველიდგან დარჩენილი ქართლის ციხეებს, დგას მაღალ კლდეზე და გადაჰყურებს ჭოროხს.

ნაწერი არსად არ არის; მაგრამ ათი ქვევრი, რომელნიც ჩაფლულნი არიან ქვით-კირით ერთ კედლის წინ; ამბობენ, რომ აქ ქართველს უცხოვრია. ერთი ქვევრიდგან მეორეში ყოფილა ფარნაგი ისე, რომ ღვინის ჩასხმის დროს, ერთში ჩაისხას სულ ყველაში გადავა, როცა პირველი აივსება. გავშალეთ იმ ქვევრების თავზე სუფრა და შევექცით ნუნუას ჩვენებურათა..

ვინ იცის, რამდონი ასი წელიწადია ამ ქვევრებს ღვინო არ ენახათ! აქერ დღეს ჩვენ საერთო ლოცვით და წარსულის მოგონებით, ვაზიარეთ თითო წვეთი ღვინით ისინი. ჩვენი შექცევა და ჭრიჭინი მაშინ გაცხოველდა, გადარბასიელდა, როცა ერთმა ჭრიჭინამ წარმოსთქვა აი ეს სასიამოვნო სიტყვა:

„ძმანო, ვსვათ შესანდობლად იმ მხნე გმირებისა, იმ ჩვენი წინაპირებისა, რომელთაც აქ უცხოვრიათ და უბრძოლიათ გვაროვნობის თავისუფლობისთვის მძლავრი და ბარბაროსული მტრის წინა! ღმერთმან ინებოს, იმათი ის კეთილი გრძნობა ჩვენზე გადმოვიდეს! ინებოს ღმერთმა! მრავალ ჟამიერ, მრავალ ჟამიერ!...“

ამ ნაირი ჭრიჭინი ყველა მოსვენებული ყურისათვის სასიამოვნო არ იქნება, მაგრამ საბედნიეროთ ფრიალ კლდეების მეტი არავის არ ესმოდა; მხოლოდ ისინი გვაძლევდნენ ბანს...

ს. ბავრელი

არდანუჯი, 10 დეკემბერს.

დვილათ არაფერი ვიცით, მხოლოთ ჭორათ კი ბევრი გვესმის ბათუმის საკეთილდღეოთ დაპირება. მაშ ვისურვებთ, რომ მისი ღვაწლი მომავლიანი იყოს და ჩვენი ჭორით გაგონილები ნამდვილი გამომდგარიყოს. ამ სიტყვებით მოულოცავთ უფ. კომაროვს მშვიდობით დაბრუნებას და სრულს იმედს ვაცხადებთ, რომ, საწყალი ხალხის ცხოვრების გაუმჯობესობისათვის, ის თავის სახელს დაუვიწყრათ დაგვიტოვებს.

დღეს სხვა შესანიშნავი ამბავი არაფერი გვაქვს, გარდა იმისა, რომ წუხელის ათ საათზე ბათუმში გაჩნდა ცეცხლი და რამოდენიმე სახლი თუ დუქანი გარდიწვა, ისე რომ თითქმის ბევრს არაფერი გადარჩენიათ—სულ დაწვიათ. უნდა უმადლოდეთ აქაური ჯარების მარჯვე განკარგულებას, თორემ ბევრიც სხვა დაიწვოდა.

შუა ცეცხლში ირეოდნენ სალდათები, არ დაზოგეს თავები და ცდილობდნენ დაექროთ საშინლად მოდებული ცეცხლი.

ამ ცეცხლის გაჩენის მიზეზს აბრალებენ ბათუმის ერთ უკანასკნელ პენერას (?) „თფილისელ სონიჩკას“; ვითომც ანთებული ლამპა დაეტოვოს დაკეტილ ოთახში, ლამპა გადმოვარდნილიყოს და იმისაგან გაჩენილიყოს ცეცხლი. როგორც ბათუმში ამნაირი ცეცხლი, ისე ეს სონიჩკა შესანიშნავი გამოჩნდა: თურმე ბევრ ჩვენებურ ყმაწვილებს გულში და ჯიბეში ცეცხლი გაუჩინა და ბოლოს კინაღამ სუყველა ერთიან გადაგვწვა...

ცუდი ამინდების გამო, აჭარიდან შესანიშნავი არაფერი ისმის; მარტო იმას ამბობენ, რომ ჭოროხის ხეობაში მოსულ თათრის მუდირს, რომელზედაც ამას წინათ გაცნობეთ, ვითომც ოსმანფაშისგან მიცემული ბრძანება გამოსჩენოდეს.

კრაზანა

---

# განცხადებანი

თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღომლის თანამდებობის აღმასრულებელი განუცხადებს თავად-აზნაურთ საზოგადოებას, რომ თფილისის გუბერნიის კეთილშობილთ კენჭით აღმორჩევა დაიწყობა მომავალ მაისის დამდეგში. (3—1)

---

თფილისის ქალაქის გამგეობა ამით უცხადებს საყოველთაოდ ტრაქტირებსა, პასტაიალი დვორის მეპატრონეებსა და ხარშოვნიკებს, რომ საშუალო აქციზი იმათ უნდა შემოიტანონ უპრავის კასსაში ორს ვადაში: ერთი ნახევარი მომავალი თებერვლისთვის პირველამდინ და მეორე ნახევარიც ამა წლის 1 ივლისამდინ. (3—1)

---

დაიბეჭდა და ისყიდება
საქართველოს
## კალენდარი
ფასი 20 კაპეიკი

შედგენილი ი. ლიაძისაგან და გამოცემული ექ. ხელაძისაგან.

თფილისში, ყველა წიგნების მაღაზიაში. გორში: ძამოევის მაღაზიაში. ქუთაისში: კ. მესხის წიგნის მაღაზიაში და ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში. ფოთში: ელისბარ ბაბალოვთან, ოზურგეთში, გრიგოლ ჯინჯარაძის მაღაზიაში.—

ვინც 100 ეგზ. ერთათ გაიწერს, იმას ეგზემპლიარი 15 კაპეიკათ დაეთმობათ.—

ისყიდება უ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში

---

უფ. გიგო ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში

ისყიდება ყოველნაირ ახალი ქართული წიგნები.

მაღაზია იმყოფება ბაღის ზემოდამ, ქაშვეთის ეკკლესიის ქვევით დუქნებში. ზარემე პირებს შეუძლიანთ ამ ადრესით დაიბარონ წიგნები: Въ тифлисъ. Въ книжный магазинъ г. Чарквіани. (5—4)

---

ლექსები
## „სიყვარული“

შედგენილი ანთ. ჯულელისაგან გამოვიდა და იყიდება თფილისში ჩარკვიანის, ვართანოვის, გრიქუროვის და სხვა წიგნის მაღაზიებში და „ივერიის“ რედაქციაში. სამეგრელოში დ. სუჯუნას, ბ. თოფურიძის დუქანში და აბაშის სტანციაზე პ. მელიქოვის დუქანში, ზესტაფონს ჩუბინიძის და კოსტავას დუქანში.

ფასი ორი შაური. ოცს ეგზემპლიარს ვინც იყიდის ერთად, მას თითო ეგზემპლიარი დაეთმობა (რვა კაპ.) მეტს ვინც იყიდის იმას შვიდ კაპეიკათ.

---

## გასყიდვა
ფას-მოუკლებელად

რადგან წვრილად ვაჭარმა მოვსპეთ და ერთად, ნარდათ ვაჭრობა დავიწყეთ, ამის გამო დანიშნულია გასყიდვა იაფფასად მანეთზე 25 კაპეიკის დაკლებით სხვა და სხვა საქონლისა: კრეპი, არდაგანი, მატლასე, რეპსი, ფაი, ყარსი, კრეასე, კაშმირი შავი—75 კაპეიკიდამ 2 მან. 30 კაპ. შავი ალპაგა—35-75 კაპეიკამდინ, მაუდის შალები—3 მან. და 25 კაპ. 7 მან. 37 კაპეიკამდინ, ხავერდის ხალიჩები, პერანგები ტილოსი და სხვ. და სხვ.

თამამშოვის ქარვასლაში, ზემო ეტაჟში, გასტინიცის, „კავკაზის“ პირ-და-პირ, №№ 10 და 11.

მაღაზია მალაკოვისა

---

| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . . | 9 | 21 | 5 | 18 | მ. | კაპ. | მ. | კაპ. |
| მცხეთა . . . | 10 | 11 | 6 | 27 | - | 68 | - | 38 |
| გორი . . . . | 11 | 58 | 9 | 43 | 2 | 40 | 1 | 33 |
| ხაშური . . . | 1 | 29 | 11 | 57 | 3 | 92 | 2 | 18 |
| სურამი . . . | 1 | 44 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . . | 5 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| რიონი . . . | 6 | 57 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | 7 | 51 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახალ-სენაკი | 8 | 43 | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი . . . | 9 | 50 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . . | 9 | 3 | | | | | | |
| ახალ-სენაკი | 10 | 14 | | | 1 | 18 | - | 6 |
| სამტრედია . | 11 | 5 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| რიონი . . . | 12 | 13 | | | 3 | | 1 | 69 |
| ყვირილა . . | 1 | 18 | ღამე. | | 3 | 96 | 2 | 21 |
| სურამი . . . | 5 | 12 | 1 | 10 | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური . . . | 5 | 39 | 1 | 37 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი . . . | 7 | 5 | 4 | 8 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . . . | 8 | 50 | 6 | 59 | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი . . | 9 | 31 | 7 | 56 | 9 | 75 | 5 | 42 |

| ტელეგრაფი | მან | კაპ. |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში. . . . . . . . . | — | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში. . | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში . | 3 | 50 |
| ინგლისში . . . . . . . . . | 3 | 75 |

### ფოჩტა

ა) თფილისიდამ: საზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.— პარასკ. და ორშ. კახეთს — სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთის კენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს — ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და საზღვარ გარეთ: | კაპ |
|---|---|
| ღია წიგნის . . . . . . . . | 4 |
| დახ. ქაღალდის (ხაში მისხალი) . | 8 |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი, 18 იანვარს. | | |
| ფქვ. თეთ. განჯისა, ფთ. | 1 | 80 |
| ფქვილი წითელი . . . | 1 | 40 |
| ქერი ფუთი . . . . . . | 1 | 30 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 7 | 50 |
| — ამერიკისა, ფუთი . . | 8 | 60 |
| ბაპენტიოლი ბამბა ფუთი. | 9 | 60 |
| მატყლი თუშური ფუთი | 6 | 50 |
| — თარაქამისა ფუთი . . | 4 | 50 |
| აბრეშუმი ნუხური სტ. . | 2 | 10 |
| ქონი, ფუთი . . . . . | 5 | 70 |
| ქონის სანთელი ფუთი . | 7 | 60 |
| სტეარინის სანთელი, ფთ. | 12 | 80 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 99 |
| —ცხვრისა, ლიტრა . . | 1 | 08 |
| სპირტი ვედრო . . . . | 4 | 60 |
| შაქარი, ბროც. ფუთი . | 7 | 50 |
| —ფხვნილი ფუთი . . . | 5 | 60 |
| ყავა გრგვალი, გირვ. . | — | 70 |
| ზეთი ქუნჯუთისა ფუთი | 12 | 60 |
| თამბაქო, ხაშუ ლო. ფთ. | 6 | 50 |

### თფილისის სამკურნალო.

ერევნის მოედანზე, წინამძღვართოვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დილის 9 საათიდამ 1-მდინ.

ორშაბათს: ვერმიშევი და ზარილევიჩი — შინაგ. ავათ., მიურხარიანცი — საჯარო ექიმი და საშვილოს ოპერაციები.

სამშაბათს: ვერმიშევი — შინაგ. ა. ბახუტოვი — საბებიო და ბავშვის, პეუნოვი — თვალის.

ოთხშაბათს: ვერმიშევი შინაგანი.

ხუთშაბათს: ვერმიშევი — შინაგ., მიურხარიანცი — სიფილიტიკური და საშარდე ორგანების.

პარასკევს: ვერმიშევი — შინაგ., ა. ბახუტოვი — საბებიო ქალისა და ბავშვების.

შაბათს: ვერმიშევი შინაგ., და პეუნოვი — თვალისა.

Дозволено цензурою. Тифлисъ 23 Генваря 1879 г. Типографія Меликова. გამომცემ. ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.